ბანმიადი

V კლასი 2025 წელი ლიდერი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

მასწავლებელი _____

დავალება ფასდება 2 ქულით

1. რამდენი ნული იქნება მოცემული რიცხვების გადამრავლების შედეგად მიღებულ რიცხვში?
$400 \cdot 100 \cdot 30 \cdot 3 \cdot 200$

ა) 7 ბ) 9 გ) 8 დ) 5

დავალება ფასდება 3 ქულით

2. რამდენი სამნიშნა რიცხვი არსებობს სადაც ზუსტად ორი ციფრი არის 3 - იანი ?

ა) 20 ბ) 27 გ) 30 დ) 26

დავალებები ფასდება 5 ქულით

3. რომელია უდუდესი სამნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამია 15?

ა) 690 ბ) 870 გ) 960 დ) 1086

4. გასაყოფის, გამყოფისა და განაყოფის ნამრავლი 121 - ის ტოლია. რისი ტოლია გამყოფისა და განაყოფის ნამრავლი?

ა) 121 ბ) 21 გ) 11 დ) 1

დავალებები ფასდება 7 ქულით

5. ხუთი განსხვავებული რიცხვის ჯამია 35. რისი ტოლია ამ ხუთი რიცხვიდან უდიდესისა და უმცირესის ჯამი?

ა) 11 ბ) 14 გ) 16 დ) 15

6. ნესვის $\frac{4}{5}$ იწონის 2 კგილოგრამს. რას იწონის მთლიანად ნესვი?

ა) 2 კგ 500 გ ბ) 3 კგ გ) 4 კგ დ) 1 კგ 500 გ

7. ნიამ სხვადასხვა ლუწი ციფრებით შეადგინა უდიდესი სამნიშნა რიცხვი, რომელიც არის 5 - ის; 2 - ის; 3 - ისა და 10 - ის ჯერადი. რა რიცხვი შეადგინა ნიამ?

ა) 840 ბ) 680 გ) 960 დ) 860

დავალებები ფასდება 8 ქულით

8. კლასში 40 მოსწავლეა, მათგან $\frac{2}{5}$ გოგონაა, დანარჩენი კი ვაჟებია. ვაჟების $\frac{3}{4}$ ქერაა. რამდენი ქერა ვაჟია კლასში?

ა) 16 ბ) 12 გ) 8 დ) 18

9. რამდენი მარტივი გამყოფი აქვს ნებისმიერ მარტივ რიცხვს?

ა) ორი ბ) ერთი გ) უამრავი დ) არც ერთი

10. ქუჩის მარჯვენა მხარეს ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული სახლები კენტი ციფრებით გადანომრეს. ნიკას სახლის ნომერია 21, ხოლო თამთას სახლის ნომერია 57. რამდენი სახლია ქუჩის მარჯვენა მხარეს ნიკასა და თამთას სახლებს შორის?

ა) 19 ბ) 16 გ) 17 დ) 18

დავალებები ფასდება 10 ქულით

11. დედა 50 წლისაა. მისი შვილები 11, 13 და 16 წლისები არიან. რამდენი წლის იქნება დედა, როცა მისი შვილების წლოვანებათა ჯამი გაუტოლდება დედის წლოვანებას?

ა) 55 ბ) 57 გ) 58 დ) 59

12. მართკუთხედში რომლის სიგრძეა 30 სმ, ხოლო სიგანე 20 სმ, ოთხივე კუთხეში ამოჭრეს კვადრატები, რომელთა გვერდები ტოლია 1 სმ; 2 სმ; 3 სმ; 4 სმ; იპოვე მირებული ფიგურის პერიმეტრი?

ა) 60 სმ ბ) 90 სმ გ) 80 სმ დ) 100 სმ

13. სკოლაში მეხუთე კლასის მოსწავლეთათვის შიდა სასკოლო ოლიმპიადა გაიმართა. ახლა უნდა ჩატარდეს მეთხუთმეტე სეზონი. ყოველი სეზონი 3 ტურისგან შედგება. თითოეულ ტურში დგება 47 ამოცანა. რამდენი ამოცანა შედგა სულ ჩატარებული სეზონებისთვის?

ა) 2215 ბ) 1974 გ) 2115 დ) 705

14. რამდენჯერ მეტია დღე - ღამის განვლილი დრო დარჩენილ დროზე თუ ახლა სამი საათია? (ღამის სამი საათი)

ა) 3 - ჯერ ბ) 6 - ჯერ გ) 8 - ჯერ დ) 7 - ჯერ